

შპს „ცეკური“

ასფალტის საწარმოს ექსპლუატაციის პირობების
ცვლილება

არატექნიკური რეზიუმე

2026 წელი

სარჩევი:

1. შესავალი.....	3
2. საქმიანობის აღწერა.....	5
2.1. საწარმოში განხორციელებული ცვლილებები.....	10
2.2. ტექნოლოგიური ციკლის აღწერა.....	11
3. ექსპლუატაციის პირობების ცვლილების საჭიროების დასაბუთება.....	21
4. გარემოზე ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებები და მონიტორინგი.....	24
4.1. მოსალოდნელი ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებები.....	25
5. გარემოსდაცვითი მონიტორინგი.....	29
6. დასკვნის და რეკომენდაციები	35
6.1. დასკვნები	35
6.2. რეკომენდაციები	36

1. შესავალი:

წინამდებარე გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში მომზადებულია გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-7¹ მუხლის შესაბამისად და ეხება შპს „ცეკური“-ს (ს/კ 209442174) ასფალტის საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილებას.

საწარმო განთავსებულია მცხეთის მუნიციპალიტეტში, სოფ. ძეგვში, შპს „ცეკური“-ს საკუთრებაში არსებულ ფუნქციურად ურთიერთდაკავშირებულ 6 არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (ს/კ 72.11.05.302 (8000 მ²), 72.11.05.303 (7975 მ²), 72.11.02.057 (15026 მ²) 72.11.05.279 (2000 მ²) 72.11.05.006 (8 460 მ²) 72.11.05.406 (3 102 მ²));

შპს „ცეკური“-ს ასფალტის წარმოებაზე საქართველოს გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ, 2021 წლის 30 დეკემბრის №2-1729 ბრძანებით გაცემულია გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება.

აღნიშნული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით დადგენილი პირობების და გარემოს დაცვის სფეროში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი ნორმების შესრულების შემოწმების მიზნით, სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის უფროსის 2024 წლის 18 დეკემბრის № DES 2 24 00000592 ბრძანების საფუძველზე, განხორციელდა საწარმოს გეგმიური შემოწმება.

შემოწმების შედეგად გამოვლენილ დარღვევებზე, 2025 წლის 27 მარტს, შპს „ცეკური“-ს მიმართ შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ ოქმები: საქართველოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსის 79⁷ მუხლის პირველი ნაწილის (ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ №092352 ოქმი) , 79⁸ მუხლის პირველი ნაწილის (ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ №092353 ოქმი) შესაბამისად, ასევე, ნარჩების მართვის კოდექსის 33-ე მუხლის მეორე ნაწილის (ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ №092354 ოქმი) და 32-ე მუხლის მეორე ნაწილის (ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ №092441 ოქმი) შესაბამისად, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ ოქმები განსახილველად გადაეგზავნა მცხეთის რაიონულ სასამართლოს.

მცხეთის რაიონულმა სასამართლომ, ოქმები გააერთიანა ერთ წარმოებად და 2025 წლის 28 აპრილს № 4-ა/328-25 დადგენილებით კომპანია სცნო ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩამდენად ყველა მუხლით.

შპს „ცეკური“-ს მიმართ, 2025 წლის 30 დეკემბერს, გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ, შემუშავდა №003992 ადმინისტრაციული მიწერილობა.

2026 წლის 25 ივნისს, სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის უფლებამოსილი თანამშრომლების მიერ, შპს „ცეკური“-ს მიმართ, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 79⁸ მუხლის შენიშვნის პირველი ნაწილის შესაბამისად, შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ № 103382 ოქმი, რომელიც განსახილველად გადაეგზავნა მცხეთის რაიონულ სასამართლოს.

საქართველოს გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის 7¹-ე მუხლისა და ამავე კოდექსის პირველი დანართის მე-17 ქვეპუნქტის მოთხოვნათა შესაბამისად, ექსპლუატაციის პირობების ცვლილების მიზნით, კანონმდებლობით დადგენილი წესით, სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს წარედგინება სათანადო განცხადება და გარემოზე ზემოქმედების შეფასების (გზშ) ანგარიში. აღნიშნული

პროცედურა ხორციელდება ექსპლუატაციის პირობების ცვლილების შესახებ გადაწყვეტილების გაცემისათვის კოდექსით განსაზღვრული სამართლებრივი ნორმების საფუძველზე.

ზემოაღნიშნული სამართლებრივი მოთხოვნების შესაბამისად, შპს „ენსეკო“-მ უზრუნველყო მოცემული გზშ-ის ანგარიშის მომზადება.

საქმიანობის განმახორციელებელი კომპანიის მთავარ ამოცანას წარმოადგენს განსახილველი ობიექტის ქვეყანაში მოქმედ გარემოსდაცვით სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანა და გარემოსდაცვითი ნორმების დაცვა.

გზშ-ის ანგარიში შედგენილ იქნა დაგეგმილი საქმიანობის სათანადო შესწავლისა და პროექტის განხორციელებით მოსალოდნელი ზემოქმედების ანალიზის საფუძველზე, რომელიც მიზნად ისახავს ადმინისტრაციულ უწყებას მიაწოდოს ობიექტური ინფორმაცია და მისცეს შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების საშუალება.

საქმიანობის განმახორციელებელის შესახებ ინფორმაცია მოცემულია №1 ცხრილში. ხოლო ინფორმაცია გზშ-ის ანგარიშის მომზადებაში მონაწილე პირების შესახებ №2 ცხრილში.

ცხრილი №1

საქმიანობის განმახორციელებელი	შპს „ენსეკო“ ს/კ 209442174
იურიდიული მისამართი	თბილისი, თეიმურაზ ბოჭორიშვილის ქ. №21, სადარბაზო №2, სართული №1
საკონტაქტო ინფორმაცია	ტელეფონი - 511 19 19 00 ელ.ფოსტა - info@enseco.ge
საქმიანობ(ებ)ის სახე, კოდექსის შესაბამისად	ასფალტის წარმოება
საქმიანობის განხორციელების ადგილი	მცხეთის მუნიციპალიტეტი, სოფელი ძეგვი
ინფორმაცია ანგარიშის შემდგენელის შესახებ	შპს „გარემოსდაცვითი მომსახურების კომპანია“ Environmental Service Company მობ: 511 19 19 00

2. საქმიანობის აღწერა:

საწარმო განთავსებულია მცხეთის მუნიციპალიტეტში, სოფ. ძეგვში, შპს „ცეკური“-ს საკუთრებაში არსებულ ფუნქციურად ურთიერთდაკავშირებულ 6 არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (ს/კ 72.11.05.302 (8000 მ²), 72.11.05.303 (7975 მ²), 72.11.02.057 (15026 მ²) 72.11.05.279 (2000 მ²) 72.11.05.006 (8 460 მ²) 72.11.05.406 (3 102 მ²));

ტექნოლოგიური პროცესების თვალსაზრისით, საწარმოო ტერიტორია პირობითად დაყოფილია ორ ძირითად საწარმოო უბნად:

- **№1 საწარმოო უბანი:** აერთიანებს ს/კ 72.11.05.302, ს/კ 72.11.05.303, ს/კ 72.11.05.279, ს/კ 72.11.05.006 და ს/კ 72.11.05.406 მიწის ნაკვეთებს, სადაც განთავსებულია ასფალტის საწარმო, ბეტონის კვანძი, ინერტული მასალების სამსხვრევ-დამახარისხებელი დანადგარები და სალექარი.



რუკა №1: №1 საწარმოო უბანი:

- **№2 საწარმოო უბანი:** მოიცავს ს/კ 72.11.02.057 მიწის ნაკვეთს, რომელზეც განთავსებულია ბიტუმის სამარაგო რეზერვუარები, ბიტუმის ემულსიის საწარმო, საქვაბე მეურნეობა, ბეტონის ნაკეთობებისა და ბლოკის საამქროები, ასევე დამხმარე ლოგისტიკური ერთეულები (ავტოგასამართი სადგურები, სარემონტო ბოქსები და სამრეცხაო);



რუკა №2: №2 საწარმოო უბანი:

სასმელ-სამეურნეო დანიშნულებით ობიექტის წყალმომარაგება ხორციელდება ტერიტორიაზე მოწყობილი ორი ერთეული ჭაბურღილიდან (2012 წლის 05 აპრილის №1000512 ლიცენზია);

საწარმოში წარმოქმნილი სამეურნეო-ფეკალური წყლები გროვდება 20 მ³ ტევადობის ორ ერთეულ ამოსაწმენდ ორმოებში, რომლის განტვირთვა ხორციელდება პერიოდულად საასენიზაციო სამსახურის მიერ, დაგროვების შესაბამისად.

№1 საწარმოო უბანზე ტექნოლოგიურ ციკლის (ასფალტის საწარმო, სამსხვრევი დანადგარები და ბეტონის კვანძი) წყლით მომარაგება ხორციელდება მდ. მტკვრიდან (GPS კოორდინატები: X-469309, Y-4632867);

ტექნოლოგიურ ციკლში გამოყენებული წყალი გადადის სალექარებში და გაწმენდის შემდგომ კვლავ მიეწოდება შესაბამის ტექნოლოგიურ ხაზებს.

№2 საწარმოო უბანზე ტექნოლოგიურ ციკლის (ბიტუმის ემულსია, ბლოკის წარმოება, საქვაბე მეურნეობა და სამრეცხაო) წყლით მომარაგება ხორციელდება ჭაბურღილიდან (2012 წლის 05 აპრილის №1000512 ლიცენზია);

№1 და №2 საწარმოო ობიექტის სიახლოვეს განთავსებულია სხვადასხვა წარმოებები:

შპს „ლუკოილ ჯორჯია“ (ს/კ 72.11.02.144)-ნავათობაზა;

ი/მ ბადრი წერეთელი (ს/კ 72.11.05.004)- ინერტული მასალის სამსხვრევ-დამახარისხებელი საწარმო.

შპს „საქავტოგზა“ (ს/კ 72.11.02.071) - ასფალტის დამამზადებელი საწარმო;

შპს „ვივა“-ს (ს/კ 72. 11. 02. 077) - ზეთების გადამამუშავებელი საწარმო;


შპს „ივერმშენი-2“- (ს/კ 72.11.05.308) - ტერიტორიაზე არ მიმდინარეობს საწარმოო პროცესები;

შპს „მარმარილო“- (ს/კ 72.11.02.414) - სველი წესით მიმდინარეობს ქვის დამუშავება;

ი.მ. „კვახაძე ბესიკი“- (ს/კ 72.11.02.141) - ინერტული მასალის სამსხვრევ-დამახარისხებელი საწარმო, დღეის მდგომარეობით საწარმოს დემონტაჟი აქვს გაკეთებული;

შპს „გონიო“ (ს/კ 72.11.02.076) - ინერტული მასალის სამსხვრევ-დამახარისხებელი საწარმო, დღეის მდგომარეობით საწარმოს დემონტაჟი აქვს გაკეთებული;

შპს „ძეგვი 2025“ (ს/კ 72.11.02.217) -მიმდინარეობს ქვის სველი წესით დამუშავება;



რუკა №4: მიმდებარედ განთავსებული საწარმოები:

გზშ-ს ანგარიშის შესაბამისად უახლოესი საცხოვრებელი სახლი ობიექტიდან დაშორებულია 142 მეტრით.

დღევანდელი რეალობით, უახლოესი მოსახლე (ს/კ 72.11.02.057), №1 საწარმოო უბნიდან დაშორებულია ≈ 120 მ-ით, ხოლო №2 საწარმოო უბნიდან ≈ 89 მ;



რუკა №4: უახლოესი მოსახლე:

გზშ-ს ანგარიშის შესაბამისად უახლოესი ზედაპირული წყლის ობიექტი (მდ. მტკვარი) დაშორებულია 120 მეტრით, გზშ ანგარიშში არ არის განხილული მდ. ციხოდინი .

დღევანდელი რეალობით, №1 და №2 საწარმოო უბნების მიმდებარედ მდებარეობს მდინარე ციხოდინი, რომელიც წარმოადგენს დაახლოებით 1 კმ სიგრძის მცირე ზედაპირულ წყლის ობიექტს და ჩაედინება მდინარე მტკვარში.

საწარმოო უბნების საკადასტრო საზღვრებისა და ტექნოლოგიური პროცესების განთავსების ანალიზით დგინდება, რომ მდინარე ციხოდინი ორივე საწარმოო უბნის მიმართ ექცევა საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ წყალდაცვით ზოლში.

კერძოდ, №1 საწარმოო უბნის საკადასტრო საზღვრიდან მდინარე ციხოდინამდე პირდაპირი მანძილი შეადგენს დაახლოებით 26 მ-ს, ხოლო მდინარე მტკვრამდე – დაახლოებით 100 მ-ს.

№2 საწარმოო უბნიდან მდინარე ციხოდინამდე პირდაპირი მანძილი შეადგენს დაახლოებით 17 მ-ს, ხოლო მდინარე მტკვრამდე – დაახლოებით 120 მ-ს.

ამასთან, №2 საწარმოო უბანზე საწარმოო (ტექნოლოგიური) პროცესები, განთავსებულია მდინარე ციხოდინიდან დაახლოებით 17 მ მანძილზე, რაც თავსებადია წყალდაცვით ზოლში მოქმედი მოთხოვნების დაცვით განხორციელებულ საქმიანობასთან, ვინაიდან ექსპლუატაციის პირობების ცვლილება არ ითვალისწინებს ისეთ ტექნოლოგიურ პროცესებს ან ინფრასტრუქტურულ ცვლილებებს, რომლებიც გამოიწვევდა ზედაპირული წყლის ობიექტზე პირდაპირ ზემოქმედებას, მისი ჰიდროლოგიური რეჟიმის ცვლილებას ან წყლის ხარისხის გაუარესებას.

აღნიშნულის გათვალისწინებით, საწარმოს ფუნქციონირება, გარემოსდაცვითი და წყალდაცვითი მოთხოვნების სრულად დაცვის პირობებში, თავსებადია მიმდებარე ჰიდროგრაფიულ გარემოსთან და არ წარმოშობს მდინარე ციხოდინზე, ასევე მდინარე მტკვარზე დამატებითი უარყოფითი ზემოქმედების რისკს.



რუკა №4: ზედაპირული წყლის ობიექტები:

№1 საწარმოო უბნის GPS კოორდინატები:

N	X :	Y :
1	469317	463280
2	469389	4632779
3	469424	4632768
4	469422	4632719
5	469423	4632684
6	469497	4632691
7	469432	4632765
8	469449	4632748
9	469459	4632716
10	469457	4632669
11	469446	4632670
12	469432	4632577
13	469417	4632547
14	469360	4632556
15	469356	4632548
16	469291	4632568
17	469313	4632649
18	469347	4632646
19	469354	4632684
20	469433	4632680

ს/კ 72.11.02.057 GPS კოორდინატები:

N	X:	Y:
1	469394	4632486
2	469487	4632512
3	469515	4632479
4	469692	4632380
5	469677	4632333

№2 საწარმოო უბნის GPS კოორდინატები:

N	X:	Y:
1	469424	4632471
2	469431	4632487
3	469515	4632498
4	469692	4632380
5	469677	4632333

2.1. საწარმოში განხორციელებული ცვლილებები:

შპს „ცეკური“-ს ასფალტის წარმოებაზე საქართველოს გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ, 2021 წლის 30 დეკემბრის №2-1729 ბრძანებით გაცემულია გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება.

აღნიშნული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიხედვით, საწარმოო პროცესები მიმდინარეობდა 4 არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე: ს/კ 72.11.05.302 (8000 მ²), 72.11.05.303 (7975 მ²), 72.11.02.057 (15026 მ²), 72.11.05.279 (2000 მ²);

№1 საწარმოო უბანზე განთავსებულია (ს/კ 72.11.05.302, ს/კ 72.11.05.303 და ს/კ 72.11.05.279):

- ДС-18563 ასფალტის საწარმო (წარმადობა 60ტ/სთ);
- ბეტონის კვანძი;
- სამსხვრევ-დამახარისხებელი საამქრო;
- ბეტონიზირებული ბიტუმსაცავი (300 ტ მოცულობა);
- ორი ერთეული ბიტუმსახარში რეზერვუარი (მოცულობა არ არის დაზუსტებული);
- სალექარები;

№2 საწარმოო უბანი (ს/კ 72.11.02.057):

- ბიტუმის სამარაგო რეზერვუარები: 15 ერთეული რეზერვუარი (10 ცალი 20-ტონიანი და 5 ცალი 40-ტონიანი);

- ბიტუმის ემულსიის საწარმო;
- ბეტონის ნაკეთობების საამქრო;
- ბლოკისა და ჩამკეტი ბორდიურების საწარმო;
- დიზელის ავტოგასამართი სადგური;
- ავტომობილების ტექნიკური მომსახურებისა და სარემონტო ბოქსები;
- ავტოსადგომი და დამხმარე შენობები;

დღეის მდგომარეობით, **№1 საწარმოო უბანი:** აერთიანებს ს/კ 72.11.05.302, ს/კ 72.11.05.303, ს/კ 72.11.05.279, ს/კ 72.11.05.006 და ს/კ 72.11.05.406 მიწის ნაკვეთებს, სადაც განთავსებულია ასფალტის საწარმო, ბეტონის კვანძი, ორი ერთეული ინერტული მასალების სამსხვრევ-დამახარისხებელი დანადგარი და სალექარები.

№2 საწარმოო უბანი: მოიცავს ს/კ 72.11.02.057 მიწის ნაკვეთს, რომელზეც განთავსებულია ბიტუმის სამარაგო რეზერვუარები, ბიტუმის ემულსიის საწარმო, საქვაბე მეურნეობა, ბეტონის ნაკეთობებისა და ბლოკის საამქროები, ასევე დამხმარე ლოგისტიკური ერთეულები (ავტოგასამართი სადგურები, სარემონტო ბოქსები და სამრეცხაო) და საოფისე ფართი;

2.2. ტექნოლოგიური ციკლის აღწერა:

№1 საწარმოო უბანზე მიმდინარე ტექნოლოგიური პროცესები:

ასფალტის დამამზადებელი დანადგარი:

საწარმოს ტერიტორიაზე განთავსებული ასფალტის დამამზადებელი დანადგარი, (მოდელი-DC-18563) (წარმადობა 60 ტ/სთ), დანადგარით მზადდება ორი ფენა ასფალტის ნარევი, რისთვისაც იგი უზრუნველყოფილია საჭირო დანადგარებითა და დამხმარე ინფრასტრუქტურით. დანადგარი მუშაობს ბუნებრივ აირზე (378 მ³/სთ);

საწარმო მუშაობს წელიწადში 260 დღე, დღეში 8 საათს. წლიური წარმადობაა 124 800 ტ/წელ.

სხვადასხვა ფრაქციის ინერტული მასალა ავტოდამტვირთველით ჩაიტვირთება ასფალტის საწარმოს, ოთხ განყოფილებიან მიმღებ ბუნკერში (თითოეულის მოცულობა 10 მ³) პირველი ბუნკერში ბუნებრივი 0-5 მმ, მეორე ბუნკერში ნამსხვრევი 5-10 მმ, მესამე ბუნკერში 10-20 მმ და მეოთხე ბუნკერში 20-40 მმ ფრაქციები.

მიმღები ბუნკერიდან 2 ერთეული ლენტური ტრანსპორტიორით, ინერტული მასალა გადაეცემა მბრუნავი ღუმელის მიმღებ ძაბრს, საიდანაც მასალა გაშრობის მიზნით გადადის საშრობ დოლში, სადაც ხდება მასალის გაცხელება 150-180°C ტემპერატურაზე ბუნებრივი აირის საშუალებით, მასალებში შემავალი ნესტის შემცველობა იწევს მინიმუმამდე, რაც განსაზღვრავს პროდუქტის საბოლოო ხარისხს.

გაშრობის შემდგომ ინერტული მასალა ცხელი ელევატორის მეშვეობით აიტვირთება ვიბროცხაზე.

ვიბროცხავი ასრულებს მექანიკური გაფილტვრის ფუნქციას, მასალა ნაწილდება სხვადასხვა ფრაქციებად და ჩაიტვირთება ცხელი მასალების მიმღებ ბუნკერებს. (საერთო მოცულობა 20 ტ), მიმღები ბუნკერებიდან, ინერტული მასალები ზუსტი წონებით ჩაიტვირთება სასწორში,

დოზირებული რაოდენობა გადაეცემა ასფალტშემრევ დანადგარს, სადაც მიმდინარეობს ძირითადი ტექნოლოგიური პროცესი.

აღნიშნულ ეტაპზე, წინასწარ გაცხელებულ და აწონილ ინერტულ მასალასთან ერთად ასფალტ შემრევში ასევე ჩაიტვირთება ბიტუმი, მინერალური ფხვნილი და ფილტრაციის მტვერი.

ასფალტშემრევში ხდება ინტენსიური მორევა. მორევის პროცესის დასრულების შემდეგ, ასფალტშემრევი დანადგარიდან მიიღებული უკვე მზა პროდუქცია-ასფალტი ჩაიტვირთება დროებით შემნახველ ბუნკერში (60 ტ) რომლიდანაც ხდება ავტოთვითმცლელელებზე დატვირთვა ტრასპორტირებისა და საგზაო საფარის მოწყობისათვის.

პროცესის მიმდინარეობა კონტროლდება ავტომატიზებული მართვის სისტემის საშუალებით.

მინერალური ფხვნილის მიღება-შენახვა ხდება 25 მ³. ტევადობის ვერტიკალურ სილოსში, რომელიც აღჭურვილია ფილტრაციის სისტემით (ქსოვილოვანი ფილტრი).

საშრობი დოლიდან, ჩამჩებიანი ელევატორიდან, მინერალური ფხვნილის სილოსიდან გამოყოფილი მტვერი გაიწოვება მტვერდამჭერ სისტემაში, ასფალტბეტონის დანადგარი აღჭურვილია მტვრის სამსაფეხურიანი გამწმენდი მოწყობილობებით: პირდაპირი დინების ღერძული ციკლონით, ჯგუფური ციკლონით და სველი მტვერდამჭერით, რომელთა ჯამური ეფექტურობა 99,85%-ია.

საბოლოოდ მტვერდამჭერი სისტემის შემდეგ დარჩენილი არაორგანული მტვერი და ნამწვი აირები ატმოსფეროში გამოიფრქვევა მილის საშუალებით. (17 მ. 0,793 მ დიამეტრი).

მტვერი გროვდება 8 ტ მოცულობის ბუნკერში, ბუნკერი პერიოდულად იცლება და მტვერი გამოიყენება წარმოებაში.

გამწმენდ სისტემაში გამოყენებული წყალი ჩაედინება საწარმოო ტერიტორიაზე მოწყობილ ბეტონიზირებულ ორ დონიან სალექარებში (30 ტ და 10 ტ) , სალექარის პირველ საფეხურზე დამონტაჟებულია ნავთობდამჭერი, ნავთობდამჭერის გავლის შემდგომ წყალი გადადის შემდეგ საფეხურზე, ხდება დალექვა. ნავთობდამჭერიდან ამოღებული ნავთობშლამი, გაშრობის მიზნით საწყობდება სალექარის მიმდებარედ და ბრუნდება ტექნოლოგიურ ციკლში.

ასევე, სალექარის გაწმენდის შემდგომ ამოღებული მასა, საწყობდება სალექარის მიმდებარედ და ბრუნდება ტექნოლოგიურ ციკლში, ხოლო გაწმენდილი წყალი ტუმბოს საშუალებით ბრუნდება გამწმენდ სისტემაში. გამწმენდი სისტემა იყენებს 40 ტ წყალს, თვეში ემატება ≈ 10 ტ წყალი.

ასფალტ-ბეტონის ქარხნის ტექნოლოგიურ ციკლში წყალი გამოიყენება მხოლოდ რეცირკულაციურ აირგამწმენდ სისტემაში, საწარმოს არ აქვს ჩამდინარე წყლები.

ტექნოლოგიური პროცესისთვის საჭირო ბიტუმის მიღება-მომზადება/გაცხელება და შენახვას უზრუნველყოფს ბიტუმის მიღება-მომზადების 1 ერთეული 25 ტ-იანი ჰორიზონტალური რეზერვუარი, რომელიც ცხელდება ბუნებრივი აირით (25 მ³/სთ), ტემპერატურის შენარჩუნებისთვის აქვს ზეთის „პერანგი“;

ბიტუმის ავზს აქვს რკინაბეტონის შემოზვინვის აუზი. აღნიშნული დამცავი აუზის მოცულობაა იქნება დაახლოებით 25 მ³, რაც სრულად უზრუნველყოფს შესაძლო ავარიული დაღვრისას პროდუქტის უსაფრთხო ლოკალიზებას.

ასევე, ტერიტორიაზე განთავსებულია ერთი ერთეული 300 ტონა მოცულობის ბეტონიზირებული ბიტუმსაცავი (გადახურული და შემოსაზღვრული), ბიტუმსაცავში, მოწყობილია ბიტუმის გასაცხელებელი კამერა, სადაც ბუნებრივი აირის საშუალებით ხორციელდება ბიტუმის მუშა მდგომარეობამდე გაცხელება (24 მ³/სთ, ბუნებრივი აირის ხარჯი, 49 920 მ³/წელ);

ბიტუმი ტერიტორიაზე შემოიზიდება სპეციალიზირებული ავტოცისტერნებით რომლებიც აღჭურვილია საცხელებელი მილებით, გასაცხელებლად ტერიტორიაზე მოწყობილია 9 ცალი გამაცხელებელი ბუნებრივი აირის სანთურა, ერთდროულად შესაძლებელია სამი ბიტუმშიდის გაცხელება (თითოეულ მანქანას აცხელებს 3 ერთეული ბუნებრივი აირის სანთურა) ბუნებრივ აირის ხარჯი - 24 მ³/სთ- 1 ავტომანქანის გაცხელება (8-12 სთ);

გაცხელებული ბიტუმი სპეციალური ბიტუმის ტუმბოს მეშვეობით პირდაპირ იტვირთება 300 ტონა მოცულობის ბეტონიზირებული ბიტუმსაცავში, ხოლო იმ შემთხვევაში თუ საჭიროა ბიტუმის გადატვირთვა 25 ტ-იან ჰორიზონტალური რეზერვუარში, გაცხელებული ბიტუმი ბიტუმშიდიდან გადაიტვირთება 0,5 ტ მოცულობის ლითონის რეზერვუარში, სადაც შეკვეთისამებრს დაემატება ადჰეზიური დანამატი და შემდგომ გადაიტვირთება 25 ტ-იან ჰორიზონტალური რეზერვუარში, საიდანაც მიეწოდება ასფალტშემრევ დანადგარს.

ადჰეზიური დანამატის გამოყენების მიზანია ბიტუმსა და ინერტულ მასალას შორის შეჭიდულობის (ადჰეზიის) გაუმჯობესება. დანამატი ზრდის ბიტუმის ადჰეზიურ თვისებებს, აუმჯობესებს ასფალტის ნარევის ტენგამძლეობასა და გამძლეობას ექსპლუატაციის პერიოდში.

შედეგად, იზრდება გზის საფარის მდგრადობა კლიმატური და სატრანსპორტო დატვირთვების მიმართ და მცირდება საფარის ნაადრევი დაზიანების ალბათობა. ადჰეზიური დანამატი გამოიყენება მხოლოდ საჭიროების შემთხვევაში, მცირე რაოდენობით, არ ცვლის საწარმოს ტექნოლოგიურ პროცესს და არ იწვევს საწარმოს საპროექტო წარმადობის ზრდას.

ასფალტის რეცეპტი:

124 800 ტ/წელ

0-5 მმ	54 912 ტ/წელ
5-10 მმ	27 456 ტ/წელ
10-20 მმ	19 968 ტ/წელ
20-40 მმ	11 232 ტ/წელ
მინერალური ფხვნილი	5 616 ტ/წელ
ბიტუმი (ადჰეზიური დანამატი 1ტ +4 კგ) 22,5 ტ/წელ	5 616 ტ/წელ

ინერტული მასალის სამსხვრევ-დამახარისხებელი საწარმო №1:

ქვიშა-ხრემის გადამუშავების შედეგად ძირითადად მიიღებული იქნება ოთხი (4) სხვადასხვა ფრაქციის ნედლეული: 0-5 მმ, 0-40 მმ, 5-10 მმ და 12-20 მმ;

საწარმო მუშაობს წელიწადში 260 დღე, დღეში 8 საათის განმავლობაში. წარმადობა განსაზღვრულია - 30 მ³/სთ. წლიური წარმადობაა 62 400 მ³/წელ;

ობიექტის ნედლეულით (ქვიშა-ხრეშით) მომარაგება ძირითადად ხორციელდება შპს „ცეკური“-ს ლიცენზირებული კარიერიდან (2026 წლის 16 იანვრის, №2141 და 2026 წლის 08 იანვრის, №2348 სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია) მცხეთის მუნიციპალიტეტი, ძეგვის ადმინისტრაციული ერთეულის ტერიტორია. ასევე, საჭიროებისამებრ ნედლეულის შესყიდვა მოხდება სხვადასხვა მომწოდებელი ობიექტებიდან.

სათანადო კარიერი(ებ)დან/მომწოდებელი ობიექტებიდან ნედლეული თვითმცლელების საშუალებით შემოვა საწარმოო ტერიტორიაზე პირდაპირ ჩაიტვირთება მიმღებ ბუნკერში (45 მ³).

ბუნკერიდან ინერტული მასალა, ვიბროძრავების საშუალებით გადადის როტორულ სამსხვრევში (წარმადობა 30 მ³/სთ);

შეკვეთისამებრ როტორული სამსხვრევიდან, მასალის გამომტანი ლენტური ტრანსპორტიორის საშუალებით 0-40 მმ ფრაქცია გადადის ლენტურ ტრანსპორტიორზე და ჩამოიყრება სასაწყობე ტერიტორიაზე.

როტორული სამსხვრევიდან მასალის გამომტანი ლენტური ტრანსპორტიორის საშუალებით ინერტული მასალა გადადის ლენტურ ტრანსპორტიორზე, რომლის საშუალებით მასალა გადადის საცერში, რომლის გავლის შემდგომ 5-10 მმ ფრაქცია ლენტური ტრანსპორტიორის საშუალებით ჩამოიყრება სასაწყობე ტერიტორიაზე.

12-20 მმ ფრაქცია ლენტური ტრანსპორტიორის საშუალებით ჩამოიყრება სასაწყობე ტერიტორიაზე.

0-5 მმ ფრაქცია წყლის ჭავლის საშუალებით გადადის ქვიშის სარეცხ დანადგარში, შემდეგ ლენტური ტრანსპორტიორის საშუალებით ჩამოიყრება სასაწყობე ტერიტორიაზე.

საცერიდან 10-20 მმ ფრაქცია ლენტური ტრანსპორტის საშუალებით, დასამუშავებლად უბრუნდება როტორულ სამსხვრევს.

საწარმოს ტექნოლოგიური პროცესი ავტომატიზირებულია და მისი მართვა ხორციელდება სპეციალური სამეთვალყურეო კაბინიდან, ოპერატორების მეშვეობით.

ინერტული მასალის სამსხვრევ-დამახარისხებელი საწარმო №2:

ქვიშა-ხრეშის გადამუშავების შედეგად ძირითადად მიიღებული იქნება ორი (2) სხვადასხვა ფრაქციის ნედლეული: > 5 მმ, 0-5 მმ;

საწარმო მუშაობს წელიწადში 260 დღე, დღეში 8 საათის განმავლობაში. წარმადობა განსაზღვრულია - 20 მ³/სთ. წლიური წარმადობაა 41 600 მ³/წელ;

სათანადო კარიერი(ებ)დან/მომწოდებელი ობიექტებიდან ნედლეული თვითმცლელების საშუალებით შემოვა საწარმოო ტერიტორიაზე და ჩაიტვირთება მიმღებ ბუნკერში (20 მ³);

ბუნკერიდან ინერტული მასალა, ვიბროძრავების საშუალებით გადადის საცერში (წარმადობა - 20 მ³/სთ);

საცერიდან > 5 მმ ფრაქცია ლენტური ტრანსპორტიორის საშუალებით ჩამოიყრება სასაწყობე ტერიტორიაზე;

საცერიდან 0-5 მმ ფრაქცია წყლის ჭავლის საშუალებით გადადის ქვიშის სარეცხ დანადგარში, შემდეგ ლენტური ტრანსპორტის საშუალებით ჩამოიყრება სასაწყობე ტერიტორიაზე;

სუფთა ტექნიკური წყალი, დატვირთვის რეჟიმის გათვალისწინებით, სამსხვრევ დანადგარებს მიეწოდება როგორც პირველადი ალების წყაროდან, ისე გამწმენდი ნაგებობიდან. პირველადი წყლის აღება ხდება მდ. მტკვრიდან წყლიდან (GPS კოორდინატები: X-469309, Y-4632867).

სამსხვრევ-დამახარისხებელი საწარმოსთვის, ს/კ 72.11.05.406-ზე მოწყობილია 7 ერთეული სალექარი, სალექარების სიღრმის (3 მეტრი) გათვალისწინებით სალექარის ჯამური მოცულობაა - 500 მ³;

წყლის აღება განხორციელდება მხოლოდ ბუნებრივი ან/და ტექნოლოგიური დანაკარგების შესავსებად, კერძოდ: საწარმოო პროცესში მოხმარებული წყალი სალექარის გავლით კვლავ ტექნოლოგიურ ციკლში იქნება დაბრუნებული ან/და საჭიროებიდან გამომდინარე გამოყენებული იქნება ტერიტორიის მოსარწყავად.

ბეტონის კვანძი:

საწარმოო ტერიტორიაზე (ს/კ 72.11.05.302) განთავსდება ბეტონის კვანძი, რომლის წარმადობაა 30 მ³/სთ. ასევე განთავსდება ერთი ერთეული წყლის რეზერვუარი (62 მ³), 62 მ³ მოცულობის ერთი ერთეული ცემენტის სილოსი, ლენტური კონვეიერი, ორი ერთეული, 9-9 მ³ მოცულობის მიმღები ბუნკერი და შემრევი დანადგარი.


საწარმო მუშაობს წელიწადში 260 დღე, დღეში 8 საათის განმავლობაში. წარმადობა განსაზღვრულია - 30 მ³/სთ. წლიური წარმადობაა 62 400 მ³/წელ;

ბეტონის კვანძის მიმდებარედ მოეწყობა ბეტონმზიდი ავტოსატრანსპორტო საშუალებების სარეცხი უბანი შესაბამისი სალექარით (12მ³).

ბეტონმზიდების რეცხვის შედეგად წარმოქმნილი საწარმოო ჩამდინარე წყლები მიემართება სალექარში, სადაც განხორციელდება შეწონილი ნაწილაკების დალექვა, რის შემდეგაც წყალი გადაედინება ს/კ 72.11.05.406-ზე არსებულ სალექარებში, დამატებითი გაწმენდისა და მართვის მიზნით.

აღნიშნული ტექნიკური გადაწყვეტა უზრუნველყოფს ჩამდინარე წყლების სათანადო მართვას და ამცირებს ზედაპირული წყლებისა და ნიადაგის დაბინძურების რისკს.

გეგმა



- საპროექტო ტერიტორია: 1) ს/კ 72.11.05.303 ფართ: 7 975 კვ.მ. 2) ს/კ 72.11.05.302. ფართ: 8 000 კვ.მ.
 3) ს/კ 72.11.05.006. ფართ: 8 460 კვ.მ. 4) ს/კ 72.11.05.406. ფართ: 3 102 კვ.მ.
 - საღებავი.

ასფალტის წარმოება

- 1 - ბიტუმის საცავი 300 ტონა.
- 2 - ბიტუმის საცავი 25 ტონა.
- 3 - ბიტუმის რეზერვუარი 0,5 ტონა.
- 4 - მიმღები ზუნკერი.
- 5 - საოპერატორო.
- 6 - დოლი.
- 7 - ვიბრობაგი / შემრევი.
- 8 - ჩამოყვანის ადგილი.
- 9 - ფილტვის სილოსი.
- 10 - საღებავი.

სამსხვრევი - დამზარისხვრევი 1.

- 1 - მიმღები ზუნკერი.
- 2 - როტორული სამსხვრეველი.
- 3 - საცერ დამზარისხვრევი.
- 4 - ქვიშის სარევი კლასიფიკატორი.
- 5 - ფრაქციული მასალის 0 - 5 განთავსება.
- 6 - ფრაქციული მასალის 0,5 - 10 განთავსება.
- 7 - ფრაქციული მასალის 10 - 20 განთავსება.
- 8 - ფრაქციული მასალის 0 - 40 განთავსება.
- 9 - ლენტური ტრანსპორტიორი.
- 10 - პროდუქციის საწყოები 500 კვ.მ.

სამსხვრევი - დამზარისხვრევი 2.

- 1 - მიმღები ზუნკერი.
- 2 - საცერ დამზარისხვრევი.
- 3 - ქვიშის სარევი კლასიფიკატორი.
- 4 - ფრაქციული მასალის 0-5 განთავსება.
- 5 - ფრაქციული მასალის > 5 განთავსება.
- 6 - ლენტური ტრანსპორტიორი.
- 7 - პროდუქციის დასაწყობების ადგილი 500 კვ.მ.

ბეტონის წარმოება.

- 1 - მიმღები ზუნკერი.
- 2 - შემრევი.
- 3 - ბეტონის ჩამომრევი.
- 4 - ცემენტის სილოსი.

WGS 84 / UTM zone 38 N

მაშტაბი: 1:1,400

№2 საწარმოო უბანზე მიმდინარე ტექნოლოგიური პროცესები:**ს/კ 72.11.02.057 საწარმოო ტერიტორიაზე განთავსებულია:**

- ბიტუმსაცავი (4 ერთეული 40 ტ მოცულობის ჰორიზონტალური რეზერვუარი);
- მექანიკური სახელოსნო;
- საქვაბე;
- ბიტუმის ემულსიის საწარმო;
- ბეტონის ნაკეთობების უბანი და საშრობი;
- ბლოკის და ბორდიურების დამამზადებელი საწარმო;
- ორი ერთეული დიზელგასამართი სადგური;
- ავტოსამრეცხაო;
- ავტომობილების შეკეთების უბანი;

ბიტუმის ემულსიის საწარმოო უბანი**(წარმადობა: 2,5 ტ/სთ, 5 200 ტ/წელ)****საწარმო მუშაობს წელიწადში 260 დღე, დღეში 8 საათი**

ბიტუმზიდებით შემოტანილი ბიტუმი, იტვირთება ბიტუმის რეზერვუარებში, ბიტუმის ემულსიის საწარმოს ემსახურება 4 ერთეული ბიტუმის რეზერვუარები (40 ტ მოცულობის ჰორიზონტალური რეზერვუარი), ბიტუმის რეზერვუარების პერიმეტრზე მოეწყობილია რკინაბეტონის შემოსაზღვრული დამცავი შემოზვინვა.

4 ცალ 40 ტ-იან ავზს აქვს ერთიანი, საერთო რკინაბეტონის შემოზვინვის აუზი. აღნიშნული დამცავი აუზის მოცულობაა იქნება დაახლოებით 50 მ³, რაც სრულად უზრუნველყოფს შესაძლო ავარიული დაღვრისას პროდუქტის უსაფრთხო ლოკალიზებას.

ბიტუმის ემულსიის დამზადება ხორციელდება ავტომატიზირებული საწარმოს მექანიზმებითა და მართვის პულტით, რომელიც შედგება ბიტუმის, წყლის, მჟავების/ემულგატორების დახურული ავზებისაგან და გადამტვირთი მილებისაგან, დამზადებული ბიტუმის ემულსია, იტვირთება ავტოცისტერნებში. ტემპერატურული რეჟიმი უზრუნველყოფილია საქვაბე მეურნეობიდან.

ბიტუმის ემულსიის დასამზადებლად საჭიროა:

ბიტუმი-3120 ტ/წელ;

ემულგატორი- 21 ტ/წელ;

მარილმჟავა- 21 ტ/წელ

წყალი -2038 ტ/წელ;

ემულსიის საწარმო სრულად ავტომატიზებულია.

ემულგატორი, მარილმჟავა და სტაბილიზატორი საწარმოში შემოდის მწარმოებლის შეფუთვები.

საწარმოო პროცესში არ წარმოიქმნება ტექნოლოგიური ჩამდინარე წყალი, ვინაიდან აღებული წყლის ფაზა, სრულად რეაგირებს ბიტუმთან და ხდება საბოლოო პროდუქტის ნაწილი.

წყლის აღება ხორციელდება ტერიტორიაზე მოწყობილი ჭაბურღილიდან;

საქვაბე:

საქვაბე მუშაობს ბუნებრივ აირზე, აღჭურვილია 3 ტ მოცულობის საქვაბე დანადგარით (30 მ³/სთ, ბუნებრივი აირის ხარჯი);

მუშაობს დღეში 3 სთ, წელიწადში 260 დღე და ემსახურება როგორც ბიტუმის ემულსიის საწარმოს ისე, ბეტონის ნაკეთობების საშრობს (მოთხოვნისამებრ);

ბუნებრივი აირის წლიური ხარჯი შეადგენს: 23 400 მ³/წელ;

ბეტონის ნაკეთობები:

(წლიური რაოდენობა : 30 000 ცალი)

ბეტონმზიდებით შემოიზიდება ბეტონი, მოთავსდება ყალიბებში და შრობა მიმდინარეობს ან ბუნებრივად, ან (ნაკეთობის სისქის მიხედვით) საშრობ უბანზე, საშრობი მუშაობს საქვაბე მეურნეობიდან წამოსული ცხელ ორთქლზე.

რკინა-ბეტონის კონსტრუქციებისთვის საჭირო არმატურის შედუღება ხორციელდება ადგილზე.

ბლოკის წარმოება:

ბლოკის საამქროს წარმადობა 1.25 მ³ /სთ-ში. მუშაობს 260 დღე, დღეში 8სთ.

ტერიტორიაზე იწარმოება საკედლე ბლოკები და ჩამკეტი ბორდიურები, რომელთა დასაწყობება და შრობა ხორციელდება ბუნებრივ პირობებში ფარდულის ტიპის სათავსში. ბლოკის საამქროს აქვს 23 ტ მოცულობის ცემენტის სილოსი და ლენტური კონვეიერი.

ბლოკის წარმოებისთვის საჭირო ნედლეული, ქვიშ-ხრეში შემოდის №1 ნაკვეთზე არსებული სამსხვრევებიდან.

1 მ³ ბეტონის ნარევის რეცეპტურა ბლოკის დასამზადებლად:

ცემენტი - 200 კგ;

ქვიშა - 1800 კგ;

წყალი -70 ლ.

1 მ³ ბეტონის ნარევის რეცეპტურა ბორდიურების დასამზადებლად:

ცემენტი - 330 კგ;

ქვიშა - 1800 კგ;

წყალი -70 ლ.

დღის განმავლობაში წარმოებული მაქსიმალური რაოდენობა 10 მ³ პროდუქციით. საამქრო ამზადებს 800-1000 სხვადასხვა ზომის საკედლე ბლოკსა და 250-260 ჩამკეტ ბორდიურს, დღეში.

საავტომობილო ბოქსები:

საავტომობილო ბოქსებში ხორციელდება საბურავებისა და საპოხი საშუალებების გამოცვლა, დაზიანებული ნაწილების შეკეთება, ტექნიკური დათვალიერება, რათა უზრუნველყოფილ იქნას ავტომობილების გამართული ფუნქციონირება.

ავტომობილების რემონტისთვის გათვალისწინებული ზეთები, ფილტრები და სხვა საჭირო მასალები ინახება დახურულ შენობაში, ამასთან აღსანიშნავია, რომ ამავე ტერიტორიაზე ავტომობილებისთვის აკუმულატორების გამოცვლა არ ხდება.

სახიფათო ნარჩენები გროვდება შესაბამის უბანზე.

საწარმოს ტერიტორიაზე განთავსებულია დიზელის ორი ერთეული გასამართი სადგური, 10 -10 ტონიანი სამარაგო ავზით, რომლებიც აღჭურვილია ერთი ერთეულია ჩასასხმელი სამარჯვით, დიზელგასამართი სადგურები ემსახურება მხოლოდ საწარმოს კუთვნილ ავტომობილებს და გასცემს წელიწადში 2 400 000 ლ დიზელის საწვავს.


სამრეცხაო:

ტერიტორიაზე მოწყობილია სატრანსპორტო საშუალებებისა და სპეც-ტექნიკის სამრეცხაო მოედანი, სადაც დღის განმავლობაში ირეცხება საშუალოდ 3–5 ერთეული ავტომანქანა (საკუთარი თვითმცლელეები და დამტვირთავები).

ერთი სატვირთო ავტომანქანის რეცხვისათვის წყლის ხარჯი შეადგენს საშუალოდ 300–500 ლიტრს (0.3–0.5 მ³), შესაბამისად, სამრეცხაოდან წარმოქმნილი ნარეცხი ჩამდინარე წყლების დღიური მოცულობა შეადგენს დაახლოებით 1.5–2.0 მ³-ს.

სამრეცხაო მოედანი აღჭურვილია 1 ტ მოცულობის წყლის რეზერვუარით და ნავთობდამჭერით . წარმოქმნილი ჩამდინარე წყლები უპირველესად მიეწოდება ნავთობდამჭერს ნავთობპროდუქტებისგან პირველადი გაწმენდის მიზნით, რის შემდეგაც გაწმენდილი წყალი ჩაედინება ტერიტორიაზე განთავსებულ ბეტონიზირებულ 50 მ³ მოცულობის რეზერვუარში. აღნიშნული რეზერვუარიდან წყალი მეორადად გამოიყენება საწარმოს ტერიტორიისა და შიდა გზების დასანამად/მოსარწყავად, რაც უზრუნველყოფს მტვერდამჭერი ღონისძიებების ეფექტურ განხორციელებას.

გეგმვა



- ნაკვეთი ს/კ 72.11.02.057. ფართობი: 15 026 კვ.მ.
- საპროექტო ტერიტორია. ფართობი: 13 592 კვ.მ.
- 1- ზიტუმის 4 ტალი რეზერვუარი.
- 2 - საჭებე.
- 3 - სახელოსნო.
- 4 - ზიტუმის ემულსიის საწარმო.
- 5 - საშრობი.
- 6 - ბლოკის და ზორდიულების დამზადება.
- 7 - ბეტონის ნაკეთობები.
- 8 - ავტოსახელოსნო.
- 9 - დიზელ გასამართი სადგური 1.
- 10 - დიზელ გასამართი სადგური 2.
- 11 - ავტოსამრეცხაო.

WGS 84 / UTM zone 38 N

მაშტაბი: 1:1,600

3. ექსპლუატაციის პირობების ცვლილების საჭიროების დასაბუთება:

როგორც შესავალ ნაწილში აღინიშნა, შპს „ცეკური“-ს ასფალტის წარმოებაზე საქართველოს გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ, 2021 წლის 30 დეკემბრის №2-1729 ბრძანებით გაცემულია გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება.

აღნიშნული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით დადგენილი პირობების და გარემოს დაცვის სფეროში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი ნორმების შესრულების შემოწმების მიზნით, სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის უფროსის 2024 წლის 18 დეკემბრის № DES 2 24 00000592 ბრძანების საფუძველზე, განხორციელდა საწარმოს გეგმიური შემოწმება.

შემოწმების შედეგად გამოვლენილ დარღვევებზე, 2025 წლის 27 მარტს, შპს „ცეკური“-ს მიმართ შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ ოქმები: საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 79⁷ მუხლის პირველი ნაწილის (ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ №092352 ოქმი) , 79⁸ მუხლის პირველი ნაწილის (ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ №092353 ოქმი) შესაბამისად, ასევე, ნარჩების მართვის კოდექსის 33-ე მუხლის მეორე ნაწილის (ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ №092354 ოქმი) და 32-ე მუხლის მეორე ნაწილის (ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ №092441 ოქმი) შესაბამისად, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ ოქმები განსახილველად გადაეგზავნა მცხეთის რაიონულ სასამართლოს.

მცხეთის რაიონულმა სასამართლომ, ოქმები გააერთიანა ერთ წარმოებად და 2025 წლის 28 აპრილს № 4-ა/328-25 დადგენილებით კომპანია სცნო ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩამდენად ყველა მუხლით.

შპს „ცეკური“-ს მიმართ, 2025 წლის 30 დეკემბერს, გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ, შემუშავდა №003992 ადმინისტრაციული მიწერილობა.

2026 წლის 25 ივნისს, სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის უფლებამოსილი თანამშრომლების მიერ, შპს „ცეკური“-ს მიმართ, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 79⁸ მუხლის შენიშვნის პირველი ნაწილის შესაბამისად, შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ № 103382 ოქმი, რომელიც განსახილველად გადაეგზავნა მცხეთის რაიონულ სასამართლოს.

2021 წლის 30 დეკემბრის №2-1729 ბრძანებით გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით	დღეის მდგომარეობით (დაზუსტებული მოცულობები)	ექსპლუატაციის პირობების ცვლილება
4 არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი: ს/კ 72.11.05.302 (8000 მ²), 72.11.05.303 (7975 მ²), 72.11.02.057 (15026 მ²) 72.11.05.279 (2000 მ²)	6 არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი: ს/კ 72.11.05.302 (8000 მ²), 72.11.05.303 (7975 მ²), 72.11.02.057 (15026 მ²) 72.11.05.279 (2000 მ²) 72.11.05.006 (8 460 მ²) 72.11.05.406 (3 102 მ²)	საწარმოო ტერიტორია გაფართოვდა: ს/კ 72.11.05.006-ზე და ს/კ 72.11.05.406-ზე
№1 საწარმოო უბანი (ს/კ 72.11.05.302, ს/კ 72.11.05.303 და ს/კ 72.11.05.279): • ДС-18563 ასფალტის საწარმო (წარმადობა 60ტ/სთ); • ბეტონის კვანძი; • სამსხვრევ-დამახარისხებელი საამქრო; • ბეტონიზირებული ბიტუმსაცავი (300 ტ მოცულობა); • ორი ერთეული ბიტუმსახარში რეზერვუარი (მოცულობა არ იყო დაზუსტებული); • სალექარები;	№1 საწარმოო უბანი (ს/კ 72.11.05.302, 72.11.05.303, 72.11.05.279, 72.11.05.006, 72.11.05.406) განთავსებულია : • ДС-18563 ასფალტის საწარმო (წარმადობა 60ტ/სთ); • ბეტონის კვანძი; • სამსხვრევ-დამახარისხებელი საამქრო №1 ; • სამსხვრევ-დამახარისხებელი საამქრო №2 ; • ბეტონიზირებული ბიტუმსაცავი (300 ტ მოცულობა); • ერთი ერთეული 25 ტ-იანი ბიტუმის რეზერვუარი; • ერთი ერთეული 0,5 ტ-იანი ლითონის რეზერვუარი (სადაც საჭიროებისამებრ ხდება ადჰეზიური დანამატების შერევა ბიტუმთან); • ინერტული მასალების სასაწყობე ტერიტორიები; • სალექარები;	ცვლილება განხორციელებულია და არ იგეგმება დამატებითი ცვლილებების განხორციელება;
№2 საწარმოო უბანი: (ს/კ 72.11.02.057) • ბიტუმის სამარაგო რეზერვუარები: 15 ერთეული რეზერვუარი (10 ცალი 20-ტონიანი და 5 ცალი 40-ტონიანი); • ბიტუმის ემულსიის საწარმო; • ბეტონის ნაკეთობების საამქრო; • ბლოკისა და ჩამკეტი ბორდიურების საწარმო; • დიზელის ავტოგასამართი	№2 საწარმოო უბანი: (ს/კ 72.11.02.057) • ბიტუმის სამარაგო რეზერვუარები: შემცირდა და განთავსებულია 4 ერთეული 40 ტ მოცულობის ჰორიზონტალური რეზერვუარი; • ბიტუმის ემულსიის საწარმო; • მექანიკური სახელოსნო; • საქვაბე მეურნეობა;	ცვლილება განხორციელებულია და არ იგეგმება დამატებითი ცვლილებების განხორციელება;

სადგური; • ავტომობილების ტექნიკური მომსახურებისა და სარემონტო ბოქსები; • ავტოსადგომი და დამხმარე შენობები;	• ბეტონის ნაკეთობების საამქრო და საშრობი; • ბლოკისა და ბორდიურების საწარმო; • ორი ერთეული დიზელის ავტოგასამართი სადგური; • ავტომობილების ტექნიკური მომსახურებისა და სარემონტო ბოქსები; • ავტოსადგომი და დამხმარე შენობები; • ავტომანქანების სამრეცხაო;	
უახლოეს მოსახლმდე მანძილი - 142 მ;	უახლოესი მოსახლე, №1 საწარმოო უბნიდან დაშორებულია ≈ 120 მ-ით, ხოლო №2 საწარმოო უბნიდან ≈ 89 მ;	
ზედაპირული წყლის ობიექტამდე (მდ. მტკვარი) მანძილი - 120 მ; გზშ ანგარიშში არ არის განხილული მდ. ციხოდინი.	№1 საწარმოო უბნის საკადასტრო საზღვრიდან მდინარე ციხოდინამდე პირდაპირი მანძილი შეადგენს დაახლოებით 26 მ-ს, ხოლო მდინარე მტკვრამდე – დაახლოებით 100 მ-ს. №2 საწარმოო უბნიდან მდინარე ციხოდინამდე პირდაპირი მანძილი შეადგენს დაახლოებით 17 მ-ს, ხოლო მდინარე მტკვრამდე – დაახლოებით 120 მ-ს.	

საწყის ეტაპზე საწარმოო საქმიანობა განსაზღვრული იყო 4 არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე.

დღეის მდგომარეობით, საწარმოო ტერიტორია გაფართოვდა და მოიცავს 6 ურთიერთდაკავშირებულ მიწის ნაკვეთს (დაემატა ს/კ 72.11.05.006 და ს/კ 72.11.05.406). მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ აღნიშნული ცვლილება ემსახურება არა ახალი, დამატებითი საწარმოო ხაზების მოწყობას, არამედ არსებული ინფრასტრუქტურის ფარგლებში შიდა ტექნოლოგიური პროცესების სწორ სივრცით გადანაწილებას, ნედლეულის ნაკადების რაციონალიზაციასა და გარემოსდაცვითი კანონმდებლობით დადგენილ ნორმებთან შესაბამისობას.

- №1 საწარმოო უბნის ფარგლებში (ს/კ 72.11.05.302, 72.11.05.303, 72.11.05.279, 72.11.05.006, 72.11.05.406) უცვლელად ნარჩუნდება— ДС-18563 მოდელის ასფალტის საწარმოსა (60 ტ/სთ წარმადობით) ფუნქციონირება. თუმცა, განხორციელდა მნიშვნელოვანი ტექნოლოგიური დაზუსტებები:
- გზმ-ის წინამდებარე ანგარიშში დეტალურად დაზუსტდა ტერიტორიაზე განთავსებული ინერტული მასალების სამსხვრევ-დამახარისხებელი დანადგარების ფაქტობრივი წარმადობები. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ორივე დანადგარი სრულად იყო მოწყობილი და იდენტიფიცირებული ჯერ კიდევ 2024 წლის დეკემბერში, გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის უფლებამოსილი თანამშრომლების მიერ განხორციელებული გეგმიური შემოწმების პროცესში.
- მკვეთრად შემცირდა ბიტუმის სამარაგო რეზერვუარების რაოდენობა.
- ზუსტად განისაზღვრა საქვავე მეურნეობის, მექანიკური სახელოსნოსა და ბეტონის ნაკეთობების საშრობი კამერის ფუნქციონირების პარამეტრები;
- დაზუსტდა ორი ერთეული დიზელის ავტოგასამართი სადგურის, ავტომობილების სარემონტო ბოქსებისა და ავტომანქანების სამრეცხაოს მუშაობის სპეციფიკა, რაც ნავთობდამჭერებისა და სალექარების მოწყობასთან ერთად გამორიცხავს ზედაპირული და მიწისქვეშა წყლების დაბინძურებას.

ყველა აღნიშნული ტექნოლოგიური და სტრუქტურული ცვლილება უკვე სრულად განხორციელებულია, საწარმოო მოედანზე კომპანიის მიერ მომავალში არ იგეგმება დამატებითი ცვლილებების განხორციელება.

წინამდებარე გზმ-ის ფარგლებში წარმოდგენილი ტექნოლოგიური პროცესებისა და მოცულობების დაზუსტება არ იწვევს საწარმოს ჯამური ანთროპოგენული დატვირთვის ან გარემოზე ნეგატიური ზემოქმედების მატებას.

4. გარემოზე ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებები და მონიტორინგი

გარემოსდაცვითი შემარბილებელი ღონისძიებების გეგმაში წარმოდგენილი ინფორმაცია ეფუძნება გზმ-ს ანგარიშის ცალკეულ პარაგრაფებში წარმოდგენილ მონაცემებს. განსახორციელებელი შემარბილებელი ღონისძიებები გაწერილია შესასრულებელი სამუშაოების და ამ სამუშაოების დროს მოსალოდნელი ზემოქმედებების შესაბამისად.

გარემოსდაცვითი ღონისძიებების იერარქია შემდეგნაირად გამოყურება:

- ზემოქმედების თავიდან აცილება/პრევენცია;
- ზემოქმედების შემცირება;
- ზემოქმედების შერბილება;
- ზიანის კომპენსაცია.

ზემოქმედების თავიდან აცილება და რისკის შემცირება შესაძლებლობისდაგვარად შეიძლება მიღწეულ იქნას ოპერირებისას საუკეთესო პრაქტიკის გამოცდილების გამოყენებით. გარემოსდაცვითი შემარბილებელი ღონისძიებების შესრულებაზე, ასევე ყველა თანდართულ დოკუმენტაციაში (ნარჩენების მართვის გეგმა, ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების გეგმა)

განსაზღვრული ვალდებულებების შესრულებაზე პასუხისმგებლობას იღებს საქმიანობის განმახორციელებელი კომპანია.

4.1. მოსალოდნელი ზემოქმედებების შემარბილებელი ღონისძიებები:

ქვემოთ მოყვანილ ცხრილში წარმოდგენილია ინფორმაცია პროექტის განხორციელების შედეგად მოსალოდნელი ზემოქმედებების შემარბილებელი ღონისძიებების სამუშაოების შესახებ.

რეცეპტორი/ ზემოქმედება	ზემოქმედების აღწერა	ზემოქმედების მოსალოდნელი დონე	წინასწარი შემარბილებელი ღონისძიებები
ემისიები ატმოსფერული ჰაერში	• ბუნებრივი აირის წვის პროცესის დროს მოსალოდნელი ემისიები; • მზა პროდუქციის წარმოების დროს მოსალოდნელი ემისიები; • ნედლეულის მიღების დროს გამოწვეული ემისიები.	დაბალი უარყოფითი	• ასფალტის საწარმოს აირმტვერდამჭერი სიტემების მუშაობის ეფექტურობის პერიოდული კონტროლი და საჭიროების შემთხვევაში შესაბამისი ტექნიკური მომსახურება; • ნედლეულის ტრანსპორტირების და დასაწყობების პროცესში ამტვერების საწინააღმდეგო ღონისძიებების დაცვაზე ზედამხედველობა; • ნედლეულის და მზა პროდუქციის ტრანსპორტირებისას ავტო- თვითმცლელების ძარის სპეციალური საფარით დაფარვა; • საწარმოს ტერიტორიაზე დროებით დასაწყობებული ნედლეული მაქსიმალურად დაცვა ქარისმიერი ზემოქმედებისაგან.
ხმაური	• საწარმოს ტერიტორიაზე მოძრავი სატვირთო ავტომობილები; • საწარმოს დანადგარ-მოწყობილობების ექსპლუატაცია;	დაბალი უარყოფითი	• საწარმოში გამოყენებული ტექნიკა და სატრანსპორტო საშუალებები უნდა აკმაყოფილებდნენ გარემოს დაცვისა და ტექნიკური უსაფრთხოების მოთხოვნებს, რისთვისაც საჭიროა მათი ტექნიკური შემოწმება სამუშაოს დაწყებამდე; • ხმაურის გავრცელების მაღალი რისკის მქონე უბნებზე მომუშავე პერსონალი უზრუნველყოფილი უნდა იყოს სპეციალური ყურსაცმებით; • საწარმოს დირექცია მოვალეა გააკონტროლოს, რომ ხმაურმა არ გადააჭარბოს კანონით დადგენილ ზღვრულ ნორმებს, ხოლო თუ ასეთი რამ მოხდა, საჭიროების განახორციელოს ხმაურის გავრცელების საწინააღმდეგო ღონისძიებები, მაგ: დანადგარებისა და ტექნიკის ხმაურის დონის შემცირება მათი ტექნიკურად გამართვით; • სატრანსპორტო საშუალებების დღის მონაკვეთში გადაადგილება; • საჩივრების შემოსვლის შემთხვევაში მათი დაფიქსირება/აღრიცხვა და სათანადო რეაგირება.

ბიოლოგიურ გარემოზე ზემოქმედება	ნარჩენების არასწორი მართვა	ძალიან დაბალი უარყოფითი	• ნარჩენების მართვის გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებების შესრულებაზე სისტემატური ზედამხედველობა; • ნავთობპროდუქტებისა და სხვა მავნე ნივთიერებების დაღვრის პრევენციული ღონისძიებების გატარება;
მიწისქვეშა წყლების დაბინძურების რისკი	• ნარჩენების არასწორი მართვა; • სატრანსპორტო საშუალებების ტექნიკური გაუმართაობა;	დაბალი უარყოფითი	• საკმთანობის ეტაპზე წარმოქმნილი სახიფათო და არასახიფათო ნარჩენების შესაბამისი კანონმდებლობის მიხედვით მართვა; • სატრანსპორტო საშუალებების ტექნიკური მდგომარეობის კონტროლი; • წყლის გარემოს დაბინძურების თავიდან ასაცილებლად შემუშავებული ღონისძიებების ზედმიწევნით შესრულების შემთხვევაში, გრუნტის წყლების დაბინძურების ალბათობა მინიმუმამდე მცირდება; • ბიტუმის სამარაგო რეზერვუარების შემოწმება;
გრუნტის დაბინძურების რისკი	• სატრანსპორტო საშუალებების ტექნიკური გაუმართაობა; • მზა პროდუქციის არასწორი მართვა; • ნარჩენების მართვის წესების დარღვევა.	დაბალი უარყოფითი	• წარმოებაში გამოყენებული სატრანსპორტო საშუალებები უნდა აკმაყოფილებდნენ გარემოს დაცვისა და ტექნიკური უსაფრთხოების მოთხოვნებს, რათა მაქსიმალურად შეიზღუდოს სატრანსპორტო საშუალებებიდან საწვავისა და ზეთის დაღვრის რისკები; • საწარმოო ტერიტორიაზე სანიტარიული პირობების დაცვა – უნდა აიკრძალოს ნედლეულის, მზა პროდუქციის და ბიტუმის ტერიტორიაზე მიმოფანტვა; • სვეტწერტილის და ბიტუმის სამარაგო რეზერვუარების შემოწმება;
ნარჩენები	ნედლეულის და პროდუქციის შემოტანა - გატანის ოპერაციები	საშუალო უარყოფითი	• სახიფათო ნარჩენების დროებითი განთავსებისათვის შესაბამისი სათავსის გამოყოფა და გარემოსდაცვითი მოთხოვნების შესაბამისად კეთილმოწყობა; • ტრანსპორტირებისას განსაზღვრული წესების დაცვა (ნარჩენების ჩატვირთვა სატრანსპორტო საშუალებებში მათი ტევადობის შესაბამისი რაოდენობით); • საწარმოს ტერიტორიაზე ნარჩენების სეპარირებული შეგროვების მეთოდის დანერგვა (სახიფათო და არასახიფათო ნარჩენების გამოყოფა)

			ერთმანეთისაგან); • ნარჩენების სეპარირებული მეთოდით შეგროვების უზრუნველყოფისათვის საჭირო რაოდენობის სპეციალური კონტეინერების განთავსება და ამ კონტეინერების მარკირება (ფერი, წარწერა); • შეძლებისდაგვარად საწარმოო ნარჩენების ხელახალი გამოყენება; • ნედლეულის ტრანსპორტირებისას მანქანების ძარის სათანადო გადაფარვის უზრუნველყოფა); • შემდგომი მართვისათვის ნარჩენების გადაცემა მხოლოდ შესაბამისი ნებართვის მქონე კონტრაქტორისათვის; • ნარჩენების საბოლოო განთავსება მხოლოდ წინასწარ განსაზღვრულ ადგილზე, შესაბამისი წესებისა და ნორმების დაცვით; • ნარჩენების მართვისათვის გამოყოფილი იქნება სათანადო მომზადების მქონე პერსონალი; პერსონალის ინსტრუქტაჟი.
ზემოქმედება სატრანსპორტო ნაკადებზე	ნედლეულის და პროდუქციის შემოტანა - გატანის ოპერაციები	საშუალო უარყოფითი	• სატრანსპორტო საშუალებების გამართულობის კონტროლი; • სატრანსპორტო ოპერაციების დღის მანძილზე განხორციელება; • საჩივრების შემოსვლის შემთხვევაში მათი დაფიქსირება/აღრიცხვა და სათანადო რეაგირება.
ზემოქმედება ადამიანის ჯანმრთელობაზე	ავარიების და დაზიანების რისკები	საშუალო უარყოფითი	• პერსონალის სწავლება და ტესტირება ჯანმრთელობის დაცვის და პროფესიული უსაფრთხოების საკითხებზე; • პერსონალის სპეციალური ტანსაცმლის და ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით უზრუნველყოფა და მათი გამოყენების კონტროლი; • ნარჩენების სწორი მართვა; • ჯანმრთელობისათვის საშიფათო უბნების არსებობის შემთხვევაში შესაბამისი გამაფრთხილებელი, მიმითითებელი და ამკრძალავი ნიშნების დამონტაჟება; • მანქანა-დანადგარების ტექნიკური გამართულობის უზრუნველყოფა; • სატრანსპორტო ოპერაციებისას უსაფრთხოების წესების მაქსიმალური დაცვა, სიჩქარეების შეზღუდვა; • სამუშაო უბნებზე უცხო პირთა უნებართვოდ ან სპეციალური დამცავი საშუალებების გარეშე მოხვედრის და გადაადგილების კონტროლი; ინციდენტებისა და უბედური შემთხვევების სააღრიცხვო

			ჟურნალის წარმოება; ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებების, ხმაურის გავრცელების რისკების მინიმიზაციის მიზნით დაგეგმილი შემარბილებელი ღონისძიებების შესრულების კონტროლი.
--	--	--	--

5. გარემოსდაცვითი მონიტორინგი:

გარემოზე ზემოქმედებას დაქვემდებარებული ნებისმიერი პროექტის მუდმივი გარემოსდაცვითი მონიტორინგი - საქმიანობის ეფექტურად და შესაბამისი გარემოსდაცვითი ნორმების დაცვით განხორციელების განმაპირობებელი ფაქტორია. საქმიანობის გარემოსდაცვითი მონიტორინგი განსაზღვრავს ზემოქმედებას დაქვემდებარებულ ობიექტებს, მონიტორინგის მექანიზმებსა და პერიოდებს, მიზნებსა და პასუხისმგებლობის საკითხებს.

გარემოსდაცვითი მონიტორინგის ორგანიზების ძირითად ამოცანებს წარმოადგენს: საქმიანობის დროს მოქმედი გარემოსდაცვითი კანონმდებლობით განსაზღვრული მოთხოვნების დაცვა და ეფექტური შესრულება;

- მოსალოდნელი მავნე ზემოქმედების კონტროლი;
- შესაძლო ზემოქმედების რისკების დროული იდენტიფიცირება და პრევენცია;
- დაინტერესებული მხარეებისათვის საწარმოო ობიექტის გარემოსდაცვით სტანდარტებთან შესაბამისობის შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობა;
- საწარმოო ობიექტის გარემოსდაცვით კონტროლზე აყვანა.

საქმიანობის სპეციფიკის გათვალისწინებით, წარმოდგენილი გარემოსდაცვითი მონიტორინგის გეგმა ორიენტირს აკეთებს საწარმოო ობიექტის ექსპლუატაციის ეტაპზე გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების მონიტორინგზე.

საქმიანობის გზშ-ის ეტაპზე იდენტიფიცირებული ზემოქმედების სახეებიდან, განსახილველი პროექტის მახასიათებლებიდან გამომდინარე, გარემოსდაცვით მონიტორინგს-კონტროლს დაექვემდებარა:

- ატმოსფერული ჰაერის ხარისხის მონიტორინგი;
- ხმაურის გავრცელების ხარისხის მონიტორინგი;
- ნარჩენების მართვა;

მოქმედი საკანონმდებლო მოთხოვნის შესაბამისად, საქმიანობის სუბიექტი, რომელსაც გააჩნია ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების სტაციონარული ობიექტი ვალდებულია აწარმოოს დაბინძურების სტაციონარული წყაროებიდან ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაფრქვევების თვითმონიტორინგი, კერძოდ: „დაბინძურების სტაციონარული წყაროებიდან მავნე ნივთიერებათა გაფრქვევების თვით მონიტორინგის და ანგარიშგების წარმოების ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბერის №413 დადგენილების თანახმად, საქმიანობის სუბიექტი ვალდებულია უზრუნველყოს დაბინძურების სტაციონარული წყაროებიდან მავნე ნივთიერებათა გაფრქვევების თვით მონიტორინგის წარმოება, რომელიც ხორციელდება პირველადი აღრიცხვის დოკუმენტაციის (პად) ფორმების საფუძველზე.

პად-ის ფორმების წარმოებას ახორციელებს საწარმო ან მისი დაკვეთით ფიზიკური ან იურიდიული პირი, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

დადგენილების შესაბამისად პად-ის ფორმებს ყოველკვარტლურად (ყოველი კვარტალის ბოლოს) აწარმოებს გარემოზე ზემოქმედების შეფასებას დაქვემდებარებული საქმიანობის განმახორციელებელი, ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების ყველა სტაციონარული ობიექტისთვის.

დადგენილების შესაბამისად პად-ის ფორმებს ყოველკვარტლურად (ყოველი კვარტალის ბოლოს) აწარმოებს გარემოზე ზემოქმედების შეფასებას დაქვემდებარებული საქმიანობის განმახორციელებელი, ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების ყველა სტაციონარული ობიექტისთვის.

დადგენილებით განსაზღვრულ მოთხოვნათა საფუძველზე შპს „ცეკური“ უზრუნველყოფს კვარტალური თვითმონიტორინგის წარმოებას ტექნიკური რეგლამენტის შესაბამისად განსაზღვრული წესებისა და (პად) ფორმების მიხედვით.


გარდა ზემოაღნიშნულია საქმიანობის სუბიექტი ვალდებულია ყოველწლიურად, საანგარიშო წლის დასრულების შემდეგ, არაუგვიანეს 15 თებერვლისა, ელექტრონული სისტემის (<http://emoe.gov.ge/>) მეშვეობით შეავსოს და სააგენტოს წარუდგინოს მავნე ნივთიერებათა გაფრქვევების სახელმწიფო აღრიცხვის ფორმები. საკანონმდებლო მოთხოვნა ყოველწლიურად შესრულებული იქნება შპს „ცეკური“-ს მიერ.

გარემოსდაცვითი მონიტორინგის გეგმა:

მონიტორინგის დაქვემდებარებული კომპონენტები	გაზომვის ადგილი/კოორდინატები	მონიტორინგის მეთოდი	მონიტორინგის დაკვირვებისა და წარდგენის სიხშირე	მონიტორინგის მიზანი	პასუხისმგებელი	შენიშვნა
ატმოსფერული ჰაერი	- არაორგანული მტვერი; - აზოტის დიოქსიდი; - ნახშირბადის ოქსიდი; - ნახშირწყალბადები ;	№1 საწარმოს ტერიტორია X- 469410 Y-4632704 №2 ინერტული მასალის სასხვრევის მიმდებარედ	ინსტრუმენტული	სამ თვეში ერთხელ; სააგენტოში წარდგენა წელიწადში ერთხელ;	- გარემოს უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა;	შპს „ცეკური“
	- არაორგანული მტვერი; - აზოტის დიოქსიდი; - ნახშირბადის ოქსიდი; - ნახშირწყალბადები ;	№1 საწარმოს ტერიტორია X- 469329 Y-4632590 №2 ინერტული მასალის სასხვრევის მიმდებარედ	ინსტრუმენტული	სამ თვეში ერთხელ; სააგენტოში წარდგენა წელიწადში ერთხელ;	- ადამიანის ჯანმრთელობაზე ზემოქმედების შემცირება;	
	- არაორგანული მტვერი; - აზოტის დიოქსიდი; - ნახშირბადის ოქსიდი; - ნახშირწყალბადები ;	№1 საწარმოს ტერიტორია X- 469405 Y-4632608 ასფალტის საწარმოს მიმდებარედ	ინსტრუმენტული	სამ თვეში ერთხელ; სააგენტოში წარდგენა წელიწადში ერთხელ;		
	- არაორგანული მტვერი; - აზოტის დიოქსიდი; - ნახშირბადის ოქსიდი; - ნახშირწყალბადები ;	№2 საწარმოს ტერიტორია X- 469433 Y-4632472 ბიტუმსაცავების და საქვების მიმდებარედ	ინსტრუმენტული	სამ თვეში ერთხელ; სააგენტოში წარდგენა წელიწადში ერთხელ;		
	- არაორგანული მტვერი; - აზოტის დიოქსიდი; - ნახშირბადის ოქსიდი; - ნახშირწყალბადები ;	№2 საწარმოს ტერიტორია X- 469434 Y-4632473	ინსტრუმენტული	სამ თვეში ერთხელ; სააგენტოში წარდგენა წელიწადში ერთხელ;		

	- არაორგანული მტვერი; - აზოტის დიოქსიდი; - ნახშირბადის ოქსიდი; - ნახშირწყალბადები ;	უახლოესი მოსახლე კოორდინატი: X- 469286 Y-4632444		სამ თვეში ერთხელ; სააგენტოში წარდგენა წელიწადში ერთხელ;			
	ხმაური	№1 საწარმოს ტერიტორია X- 469410 Y-4632704 №2 ინერტული მასალის სასხვრევის მიმდებარედ №1 საწარმოს ტერიტორია X- 469329 Y-4632590 №2 ინერტული მასალის სასხვრევის მიმდებარედ №1 საწარმოს ტერიტორია X- 469405 Y-4632608 ასფალტის საწარმოს მიმდებარედ №2 საწარმოს ტერიტორია X- 469433 Y-4632472 ბიტუმი-საცემების და საქვების მიმდებარედ №2 საწარმოს ტერიტორია X- 469434 Y-4632473 უახლოესი მოსახლე კოორდინატი: X- 469286 Y-4632444	ინსტრუმენტული	სამ თვეში ერთხელ; სააგენტოში წარდგენა წელიწადში ერთხელ;			
	- არაორგანული მტვერი; - ცემენტის მტვერი; - აზოტის დიოქსიდი; - ნახშირორჟანგი; - ნახშირჟანგი; -ნახშირწყალბადები;	გ-1 - გ-37	საანგარიშო	კვარტალში ერთხელ პად-ფორმების წარმოება;			

	-მანგანუმის დიოქსიდი; -შეწონილი ნაწილაკები;						
ნარჩენები	საწარმოს ტერიტორია / ნარჩენების განთავსების ტერიტორიები		ვიზუალური დათვალიერება	ყოველ სამუშაო დღეს	გარემოს დაბინძურებისაგან დაცვა	შპს „ცეკური“	



7. დასკვნები და რეკომენდაციები:

7.1 . დასკვნები:

მცხეთის მუნიციპალიტეტში, სოფელ ძეგვში, შპს „ცეკური“-ს (ს/კ 209442174) ასფალტის საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილების გზშ ანგარიშის ფარგლებში ჩატარებული კომპლექსური გარემოსდაცვითი შეფასებისა და მონიტორინგის მონაცემთა ანალიზის საფუძველზე გაკეთდა შემდეგი ძირითადი დასკვნები:

- ექსპლუატაციის პირობების ცვლილება განპირობებულია ფაქტობრივი და იურიდიული მონაცემების ურთიერთშესაბამისობაში მოყვანით (საწარმოო ტერიტორიის 4 საწყისი ნაკვეთიდან 6 ურთიერთდაკავშირებულ ნაკვეთამდე გაფართოება (ჯამში 44 563 მ²), ტექნოლოგიური დანადგარების დაზუსტება, სალექარებისა და ნავთობდამჭერების მოწყობა/დაზუსტება);
- საქმიანობა არ ითვალისწინებს ახალი საწარმოო სიმძლავრეების დამატებას ან წარმადობის გაზრდას, შესაბამისად, „ნულოვანი“ (არაქმედების) ან ტერიტორიული ალტერნატივების განხილვა არარაციონალურია.
- ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაზნევის საანგარიშო მოდელირებით დადგინდა, რომ საწარმოს სრული დატვირთვით ფუნქციონირების პირობებშიც კი, მავნე ნივთიერებათა მაქსიმალური კონცენტრაციები უახლოესი დასახლებული პუნქტების საზღვრებთან (№1 უბნიდან ≈120 მ, №2 უბნიდან ≈89 მ) არ აჭარბებს დადგენილ ზღვრულად დასაშვებ კონცენტრაციებს (ზდკ-ებს).
- ასფალტბეტონის დანადგარი აღჭურვილია სამსაფეხურიანი მტვერდამჭერი სისტემით (ეფექტურობა 99.85%), ხოლო ცემენტისა და მინერალური ფხვნილის სილოსები — შესაბამისი ფილტაციის სისტემებით;
- №1 უბანზე ქვიშა-ხრეშის რეცხვისა და ბეტონის კვანძის ნარეცხი წყლები გადის მრავალსაფეხურიან სალექარებს (ჯამური მოცულობა 500 მ³) და სრულად ბრუნდება ტექნოლოგიურ ციკლში.
- №2 უბანზე ჩამდინარე წყლები არ წარმოიქმნება ან სრულად გამოიყენება მეორადად (სამრეცხაოს ნარეცხი წყლები გაივლის ნავთობდამჭერს, გროვდება 50 მ³ რეზერვუარში და გამოიყენება ტერიტორიის დასანამად).
- მცირე მდინარე ციხოდიდისა და მდინარე მტკვრის წყლის ხარისხზე პირდაპირი ან არაპირდაპირი ნეგატიური ზემოქმედება გამორიცხულია, ვინაიდან ჩამდინარე წყლების ჩაშვება ზედაპირულ წყლის ობიექტებში არ ხორციელდება.
- ბიტუმის სამარაგო რეზერვუარები უზრუნველყოფილია სათანადო მოცულობის ბეტონის დამცავი შემოზვინვით (№1 უბანზე ≈25 მ³, №2 უბანზე ≈50 მ³), რაც სრულად აკავებს ავარიულ დაღვრებს.
- სახიფათო და არასახიფათო ნარჩენების მართვა ხორციელდება „ნარჩენების მართვის კოდექსისა“ და კომპანიის ნარჩენების მართვის გეგმის მოთხოვნათა დაცვით.
- ტერიტორია ხასიათდება ძლიერი ანთროპოგენური სახეცვლილებით. წითელი ნუსხის სახეობების საბინადრო არეალების განადგურება მოსალოდნელი არ არის.

- უახლოესი დაცული ტერიტორია დაშორებულია 8.8 კმ-ზე მეტი მანძილით, ხოლო ზურმუხტის ქსელის ობიექტი — 9 კმ-ზე მეტით, შესაბამისად მათზე ზემოქმედება გამორიცხულია.
- კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები მდებარეობს უსაფრთხო მანძილზე და არ კვეთს საწარმოს საზღვრებს.
- პროექტს აქვს დადებითი სოციალურ-ეკონომიკური ეფექტი ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმებისა და რეგიონული ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელების თვალსაზრისით.

6.2. რეკომენდაციები:

მოსალოდნელი ზემოქმედებების გათვალისწინებით, შპს „ცეკური“-ს საქმიანობის გარემო სხვადასხვა კომპონენტებზე ზემოქმედების შემცირების მიზნით რეკომენდებულია გატარდეს შემდეგი ღონისძიებები:

1. ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა და ხმაურის გავრცელების შემცირების მიზნით უზრუნველყოფილი იქნას:

- საწარმოს ტექნოლოგიური დანადგარების გამართულ მდგომარეობაში ექსპლუატაცია;
- ნამუშევარი აირების გამწმენდი სისტემების ტექნიკური მდგომარეობის კონტროლი და მათი მუშაობის ეფექტურობის სისტემატური მონიტორინგი;
- სატრანსპორტო საშუალებების ტექნიკური გამართულობის კონტროლი;
- ატმოსფეროში მავნე ნივთიერებათა ემისიების კონტროლი მონიტორინგის გეგმის შესაბამისად, კერძოდ: გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა კონცენტრაციების ინსტრუმენტული გაზომვები;
- მოსახლეობის და პერსონალის საჩივრების აღრიცხვა და დროული რეაგირება;

2. გრუნტისა და მიწისქვეშა წყლებზე ზემოქმედების შემცირების მიზნით:

- ზედაპირული და გრუნტის წყლების დაბინძურების რისკების მინიმუმამდე შემცირების მიზნით, უზრუნველყოფილი იქნება შემარბილებელი ღონისძიებების გატარება;
- საწარმოს ტერიტორიაზე არსებული ტექნიკა-დანადგარების ტექნიკური გამართულობის უზრუნველყოფა;
- ტერიტორიაზე არსებული დაბინძურების წყაროების ბიტუმის ავზების შემოსაზღვრა ბეტონის კონსტრუქციით, დაღვრილი ბიტუმის ტერიტორიაზე გავრცელების აღკვეთის მიზნით;
- ბიტუმის დაღვრის შემთხვევაში, დაუყოვნებლივ მოიხსნას დაბინძურებული გრუნტი და მოხდეს მისი მართვა ნარჩენების მართვის გეგმის შესაბამისად;
- ნარჩენების სწორი მართვა.

3. ნარჩენების მართვის გაუმჯობესების მიზნით:

- ნარჩენების მართვის გეგმაში გაწერილი ღონისძიებების და უშუალოდ ნარჩენების

სწორი მართვა;

- საწარმოში გამოყენებული ზეთების და ნავთობით დაბინძურებულ ნებისმიერი ნარჩენების, ან სხვა სახიფათო ნარჩენების შესაგროვებლად გამოყოფილია სპეციალური სათავსი.
- სახიფათო ნარჩენების საწარმოს ტერიტორიიდან გატანა და მუდმივი განთავსება მოხდეს ამ საქმიანობაზე სათანადო ლიცენზიის მქონე კონტრაქტორის მიერ;
- ნარჩენების მართვის გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებების შესრულებაზე კონტროლის განხორციელება კომპანიის გარემოსდაცვითი მმართველის მიერ;
- უზრუნველყოფილი იქნას ნარჩენების მართვაზე დასაქმებული პერსონალის პერიოდული სწავლება და ტესტირება;

4. მომსახურე პერსონალის პროფესიული უსაფრთხოების გაუმჯობესების მიზნით:

- მომსახურე პერსონალის მომარაგება სპეცტანსაცმლით და ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით;
- მომსახურე პერსონალისათვის პროფესიული უსაფრთხოების და გარემოსდაცვით საკითხებზე სწავლების და ტესტირების ჩატარება;
- ყველა სამუშაო ადგილზე პროფესიული უსაფრთხოების გამაფრთხილებელი ნიშნების განთავსება;
- მომსახურე პერსონალის წინასწარი და პერიოდული სამედიცინო შემოწმების ორგანიზაციის უზრუნველყოფა.